საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 153/2

2023 წლის 08 აგვისტო ქ. თბილისი

2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში შიდა მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 56–ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 57-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა მობილობის მსურველი სტუდენტების რეგისტრაციის ვადა დრამისა და კინო-ტელე ფაკულტეტებზე გადმომსვლელთათვის განისაზღვროს 2023 წლის 17 აგვისტოს 12:00 საათიდან 27 აგვისტოს 18:00 საათამდე. რეგისტრაციის დროს ატვირთულ უნდა იქნას შემოქმედებით ტურში მონაწილეობის საფასურის გადახდის ქვითარი.

2. შემოქმედებითი ტურების/კონკურსის (დრამისა და კინო-ტელე ფაკულტეტზე) ჩატარების ვადა განისაზღვროს 2023 წლის 29 აგვისტოდან 2 სექტემბრის ჩათვლით; შემოქმედებითი კონკურსის საბოლოო შედეგების გამოქვეყნების ვადა - 4 სექტემბერი.

3. სახელოვნებო მეცნიერებათა, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე მობილობის მსურველ სტუდენტთა მიერ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.tafu.edu.ge სასურველი საბაკალავრო პროგრამის ონლაინ განაცხადის შევსების და მოთხოვნილი დოკუმენტაციის ატვირთვის ვადა განისაზღვროს 2023 წლის 11-13 სექტემბერი.

4. შესაბამისი კომისიების მიერ მობილობის მსურველთა საბუთების განხილვისა და საგანმანათლებლო ერთეულის/ფაკულტეტის მიერ სტუდენტებისათვის კრედიტების აღიარების, აღიარებული კრედიტების რაოდენობის გაცნობის და წერილობითი თანხმობის დადასტურების ვადად განისაზღვროს 2023 წლის 14-15 სექტემბერი.

5. შიდა მობილობის საბოლოო შედეგების გამოქვეყნება შესაბამის საგანმანათლებლო ერთეულზე/ფაკულტეტზე/პროგრამაზე - 2023 წლის 14-15 სექტემბერი.
შიდა მობილობის წესით სტუდენტთა სხვა სპეციალობაზე გადაყვანის შესახებ რექტორის ბრძანების გამოცემა - 2023 წლის 18 სექტემბერი.

6. შიდა მობილობის წესით სტუდენტთა სხვა სპეციალობაზე გადაყვანის შესახებ რექტორის ბრძანების პროექტის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ელექტრონულად ასახვის ვადა: 2023 წლის 12 სექტემბრიდან - 2023 წლის 21 სექტემბრის ჩათვლით.

7. საგანმანათლებლო ერთეულის/ფაკულტეტის/პროგრამის შეცვლის მსურველთა მიერ შეთანხმების (ძირითად ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე) გაფორმება მოხდება 2023 წლის 18 სექტემბრამდე.

8. „საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების“ საბაკალავრო პროგრამაზე მობილობისთვის შემოქმედებით ტურში მონაწილეობის საფასური ერთ კონკრეტულ სპეციალობაზე შეადგენს 40 ლარს, ხოლო ერთზე მეტი სპეციალობის არჩევის შემთხვევაში, თითოეულზე ემატება 10 ლარი. აპელაციის საფასური - 30 ლარი.

9. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურებს.

10. ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსების და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემის უზრუნველყოფა დაევალოს უნივერსიტეტის კადრების და კანცელარიის სამსახურს.

11. ამ ბრძანებით გათვალისწინებული ჩარიცხვების რეესტრში ასახვა დაევალოს რეესტრის წარმოებაზე და მობილობაზე პასუხისმგებელ პირს.

12. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში, მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64.

საფუძველი: უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

უფროსის ანა სამსონაძის 07.08.2023 წლის

სამსახურებრივი ბარათი

გიორგი შალუტაშვილი

რ ე ქ ტ ო რ ი